ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №01-06/05
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი: როლანდი ბერიძე

4. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსის მ.შ: გივი დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №--
2023 წლის -- მარტი
დაბა ქედა

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, **ადგენს:**

მუხლი 1.

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 29/08/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016222) შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის წესდების ასლი ან საერთო კრების ოქმის დედანი“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მეორე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) ამხანაგობის კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და კრებაზე დამსწრე წევრები“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მეოთხე მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საერთო კრების ოქმის დედანი“

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3.

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერი განიხილავს შემოტანილ განცხადებებს და მათ შესაბამისობას ამ წესით და პროგრამით დადგენილ პირობებთან.

2. ამხანაგობის საერთო ქონების განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით მუნიციპალიტეტი აფინანსებს შემდეგ ძირითად მიმართულებას:

ა) სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (წყალსაწრეტი მილები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი);

ბ) წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები;

გ) შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები;

დ) საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები, სადარბაზოს ფანჯრები, თაღები და სართულშუა ნაპრალების სამუშაოები);

ე) პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომსახურება).

3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესაძლებელია განისაზღვროს ამხანაგობისათვის დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების სახე, რომელიც არ არის მითითებული ამ მუხლის მე-2 პუნქტში და წარმოადგენს ამხანაგობების განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამუშაოებს.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი (სახელმწიფო შესყიდვების ან/და ამხანაგობის მიერ წარმოდგენის გზით).

5. განცხადება არ დაკმაყოფილდება, თუ:

ა) შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან, ღირებულებიდან ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზებიდან გამომდინარე მისი დაკმაყოფილება მიზანშეუწონელია;

ბ) შესასრულებელი სამუშაო უკვე დაფინანსებულია პროგრამის ფარგლებში და მოქმედებს შესრულებული სამუშაოების ხარისხის საგარანტიო ვადა;

გ) ამოიწურა ბიუჯეტის შესაბამისი ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ოდენობა;

დ) შემოწმების შედეგად არ დასტურდება განცხადებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა;

ე) დარღვეულია ამ წესის მოთხოვნები. “

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

განმარტებითი ბარათი

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილების შესაბამისად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელების რეგულირება, რომელიც გულისხმობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისა და შემდგომში ფინანსურად დამოუკიდებელ სუბიექტებად ჩამოყალიბების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ფინანსურ მხარდაჭერასაც.

გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ნორმატული აქტის მიღების მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლევან ვერძაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში
საკრებულოს მუშაობის შესახებ
საანგარიშო პერიოდი 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებას.

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებით ჩატარდა.

აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებზე, 4 წლის ვადით, ამომრჩევლებმა აირჩიეს ქედის მუნიციპალიტეტის – საკრებულოს 21 წევრი. აქედან, 7 წევრი – ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 14 წევრი – პროპორციული წესით ქედის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

2021 წლის 3 დეკემბერს შედგა ქედის მუნიციპალიტეტის მიმდინარე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმინობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

საკრებულოს ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე (კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიურობა, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა, წარმომადგენლობითი პრინციპულობის დაცვა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება, თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა, ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე) ახორციელებს თავის საქმიანობას.

საკრებულო, მისი ორგანოები და თანამდებობის პირები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მიმდინარე მოწვევის ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობა 2022 წლის განმავლობაში იყო ნაყოფიერი. საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან, ერთობლივი მუშაობით მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლის განხორციელება ხელს უწყობს მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკურ განვითარებას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- 25 სხდომა
- 24 ბიუროს სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ: 79 საკითხი, მათ შორის მიღებული იქნა 55 განკარგულება და 24 დადგენილება.

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ქედის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- ურბანული განვითარება;
- ტრანსპორტი;
- ეკოლოგია და გამწვანება;
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;

- ეკონომიკური პოლიტიკა;
- მუნიციპალური ქონების მართვა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად ქედაში განხორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.

შეიძლება ითქვას, რომ საკრებულომ თავისი საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა რეგლამენტის შესაბამისად. კერძოდ, ეს ეხება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების კომისიებში წინასწარ განხილვას, საკითხებზე შესაბამისი დასკვნების მომზადებას, ოქმების წარმოებას და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ არ მომხდარა საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარმოდგენილი საკითხების ხელოვნურად შეფერხება, პირიქით, ვცდილობთ, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც საჯაროა და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამით მიღწეული იქნა აღმსრულებელი ორგანოების დროული ეფექტური მუშაობა.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილია ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მუნიციპალიტეტის ორგანოების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისთვის.

საკრებულოში არსებული კომისიები აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობენ წლის განმავლობაში, რომლებმაც არაერთი მნიშვნელოვალი საკითხები განიხილეს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის მთავარმა ფინანსურმა დოკუმენტმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. იგი თავდაპირველი რედაქციით 17 მილიონ 829 565 ლარით განისაზღვრა, ხოლო შემდგომში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რაც ძირითადად მისაღები შემოსულობების პროგნოზების გთვალისწინებით განხორციელდა, 20 მილიონ 098 544 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ბიუჯეტი 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაზრდილია. შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის აუცილებელი კიდევ უფრო მეტი, ახალი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი შემდეგ მიმართულებებზე გადანაწილდა:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული სახლების ჩანაცვლება
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2022 წლის 28 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N22 დადგენილებით დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლის მოცულობა 21 მილიონ 592 500 ლარი შეადგინა.

წარმოგიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს საკრებულოს მიერ გასული თორმეტი თვის მანძილზე გაწეული საქმიანობის შესახებ.

მონაცემები საკრებულოს ბიუროს სხდომების შესახებ

- საანგარიშო პერიდოში ჩატარებული საკრებულოს ბიუროს სხდომების რაოდენობა - 24;
- საკრებულოს ბიუროს მიერ განხილული საკითხების რაოდენობა - 86;

მონაცემები საკრებულოს სხდომების შესახებ

➢ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს სხდომების რაოდენობა -25. მათ შორის:

➢ მორიგი სხდომების რაოდენობა - 11;
➢ რიგგარეშე სხდომების რაოდენობა - 14;
➢ დახურული სხდომების რაოდენობა: 0

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხები, მათ შორის:

- მორიგ სხდომაზე განხილული საკითხების რაოდენობა-37;
- რიგგარეშე სხდომაზე განხილული საკითების რაოდენობა - 42;
- დახურულ სხდომაზე განხილული საკითხების რაოდენობა: 0
- საანგარიშო პერიოდში მიღებული განკარგულების რაოდენობა - 55;
- საანგარიშო პერიოდში მიღებული დადგენილების რაოდენობა - 24;
- საანგარიშო პერიოდში მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების რაოდენობა -77;
- საანგარიშო პერიოდში უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა- 1;

მონაცემები საკრებულოში შემოსული განცხადებების რაოდენობის შესახებ

- საკრებულოში შემოსული განცხადებებისა და წერილების რაოდენობა 149;
- საკრებულოში შემოსული მოქალაქეთა კოლექტიური განცხადებების რაოდენობა - 1;

მონაცემები საკრებულოში მოქალაქეთა მიღების შესახებ

✓ საკრებულოს სხდომაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა -6;
✓ საკრებულოს სხდომაზე მოქალაქეთა მიერ გაკეთებული განცხადებების რაოდენობა -0;
✓ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული მოქალაქეთა რაოდენობა - 465;

მონაცემები საჯარო ინფორმაციის შესახებ

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)	ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების ჯამი
23	23	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – ამირან ციწცაძე	0

მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების არდაკმაყოფილების შესახებ

არ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა	უარის თქმის საფუძვლები(შესაბამისი საკანონმდებლო ქტები)	გადაწყვეტილებს მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)	გასაჩივრებასთანდაკავშირებულიხარჯები	მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობა
0	0	0	0	0

სტატისტიკური მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ:

შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები კატეგორიების მიხედვით	საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	არდაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	ასლის მოსაკრებლის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების ჯამი
საქართველოს მოქალაქე	4	4	0	0
უცხო ქვეყნის მოქალაქე	0	0	0	0
მოქალაქეობის არმქონეპირი	0	0	0	0
ორგანიზაცია დაწესებულება	13	13	0	0
მედიასაშუალება (ბეჭდვითი, ონლაინ, სატელევიზიო საშუალება) / ჟურნალისტი	1	1	0	0
დიპლომატიური წარმომადგენლობა/ საერთაშორისო ორგანიზაცია	0	0	0	0
ადმინისტრაციულიორგანო	5	5	0	0

მინდა ავღნიშნო, საკრებულოს ყველა წევრის დამოკიდებულება და პასუხიმგებლობა უფლებამოსილების განხორციელების მიმართულებით. ამ შემთხვევაში იგულისხმება ყველა მტკივნეული საკითხების მოგვარება, მოსახლეობის მდგომარეობის გათვალისწინება და შეძლებისდაგვარად კანონის ფარგლებში დადებითად გადაწყვეტა.

ვიტოვებ იმედს, რომ საკრებულოში მოქმედი 2 ფრაქცია კიდევ უფრო გააქტიურებს მუშაობასა და მოღვაწეობა იქნება უფრო ნაყოფიერი.

განსაკუთრებით მინდა შევეხო კიდევ ერთხელ საკრებულოში მოქმედი კომისიების მუშაობას, რომელთა საქმიანობას ხელმძღვანელობას უწევს საკრებულოს თავმჯდომარე. კომისიების მუშაობაზეა დამოკიდებული მნიშვნელოვანწილად მთლიანად საკრებულოს ეფექტიანი და ნაყოფიერი საქმიანობა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერის

2022 წელს

გაწეული საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2023

www.keda.ge

მერიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

- ორგანიზაციის საქმიანობის საჯაროობა;
- მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, მათი უფლებების დაცვა;
- მერიის სერვისებზე მოქალაქეთა მაქსიმალური ხელმისაწვდომობა;
- თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- თვითმმართველობის სფეროების ეფექტური მართვა;
- კრიზისული სიტუაციების მართვა.
- დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი.

ვთანამშრომლობთ!

ქედის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბარდოს კომუნას შორის პარტნიორული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.
(პოლონეთი, ქალაქი ბარდო).

www.keda.gov.ge

ვთანამშრომლობთ!

- ქედის მუნიციპალიტეტის მერი პორტუგალიაში, ასოციაცია “ანიკა“, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალური მომსახურებების განვითარებისათვის“ ფარგლებში ვიზიტით იმყოფებოდა.
- ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე თურქეთში, ქალაქ ინეგოლში დელეგაციის წევრებთან ერთად კავკასიის ხალხთა ფოლკლორის ფესტივალზე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა;
- ხელი მოეწერა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციის (SMEDA) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს;
- ვუმასპინძლეთ GIZ -ის წარმომადგენლებს: აკბარ მოჰაბატის და მოწვეულ ექსპერტს პეტერ ლანგის;

www.keda.ge

ჩართულობა

მუნიციპალიტეტს სტუმრობდა პოლონეთის დელეგაცია

ვუმასპინძლეთ იაპონიის ელჩს იმამურა აკირას

www.keda.ge

მერიაში მოქმედი ყველა კომისიის მუშაობა საჯაროა

- ბინების გამანაწილებელი კომისია;
- მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით გამგეობის სათათბირო ორგანო - საბჭო“;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- შშმ პირთა უფლებების დაცვის საბჭო;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო;
- მონიტორინგის მიზნით შექმნილი სპეციალური ჯგუფები;
- პრიორიტეტების კომისია;
- საკონკურსო კომისია.

www.keda.ge

გაზრდილი ბიუჯეტი



- 2022 წლის ქედის მთავარი დოკუმენტის ბიუჯეტმა 21 692 765 ლარი შეადგინა;
- 2021 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში,რომელიც შეადგენდა (17 416 460) ლარს 4 276 305 ლარით გაიზარდა.

www.keda.ge

ძირითადი პრიორიტეტები

- ✔ ინფრასტრუქტურული პროექტები
- ✔ ტურიზმის განვითარება
- ✔ სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა
- ✔ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- ✔ კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობის სფეროების ხელშეწყობა

www.keda.ge

	კაპიტალური პროექტები	2022 წლის ფაქტი
	საგზაო ინფრასტრუქტურა	1 588 582
	გარემოს დაცვა	1 084 575
	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 856 421
	წყალმომარაგების უზრუნველყოფა	932 679
	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	455 155

www.keda.ge

მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები

- დაიწყო დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი;
- დაიწყო დაბა ქედაში რუსთაველის ქ. N13 და N15 - ის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა
- დაიწყო დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ზვარისა და პ/მაისის ამბულატორიას
- მოეწყო სოფელ კვაშტაში და ზედა მახუნცეთში მინი სპორტული მოედანი
- აშენდა დაბა ქედაში აბუსერიძის ქუჩის მიმდებარედ მინი სპორტული მოედანი
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ასევე, მოხდა ინვენტარის შეძენა სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმისათვის
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წყლის სისტემებს

www.keda.ge

მონაწილეობითი ბიუჯეტი

2022 წელს მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში, ხალხის მიერ არჩეული
1 500 000 ლარის ოდენობის პროექტი განხორციელდა

www.keda.ge

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

პრიორიტეტების განსაზვრის მიზნით
გაიმართა მოსახლეობასთან შეხვედრები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარეგანათებისა და
ბეტონის საფარის მოწყობა

პროგრამის ბიუჯეტი: 750 000 ლარი

www.keda.ge

აგარის სოციალურ სახლში საცხოვრებელი ფართი 20 ოჯახს გადაეცა

www.keda.ge

მოხდა ატრაქციონებისა და ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი

www.keda.ge

აშენდა ერთი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ორ მინი სპორტულ მოედნებს

www.keda.ge

კომუნალური სერვისები

შეძენილი იქნა 30 ერთეული ნაგვის ურნა

www.keda.ge

აჭარის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა

დასრულდა მერისი-ნამონასტრევის მიმართულებით, მორიგი ტურისტული მნიშვნელობის 2,2 კმ საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

www.keda.ge

ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმი

რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ასევე, მოხდა ინვენტარის შეძენა სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმისათვის



www.keda.ge

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა

- პროგრამის ფარგლებში 3 საცხოვრისი აშენდა

www.keda.ge

ქონება

- 100 ერთეული ქონება გადაეცა სხვადასხვა უწყებებს;
- 63 ერთეული სარწყავი არხი აჭარის ა/რ გადაეცა მოვლა-პატრონობის მიზნით;
- 3 ამბულატორია სახელმწიფოს გადაეცა საკუთრებაში;
- 7 ამბულატორია 2 წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაეცა სამედიცინო ჰოლდინგს;
- მოხდა 4 ერთეული ქონების პრივატიზაცია;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა 37 ერთეული ქონება.

www.keda.ge

შესყიდვები

- შესყიდვების საერთო მოცულობამ გეგმით შეადგინა 9 988 108 ლარი

- ელექტრონულ სისტემაში საბოლოო სტატუსი მიენიჭა 164 ელექტრონულ ტენდერს: 115 დადებითად დასრულდა, 37 არ შედგა, 2 შეწყვეტილი იქნა და 10 უარყოფითად დასრულდა;

- სატენდერო პროცედურების შედეგად გაფორმდა 115 ხელშეკრულება;

- გამარტივებული შესყიდვების წესით 48 ხელშეკრულება გაფორმდა;

- სულ 2022 წლის განმავლობაში შესყიდვების თაობაზე 249 ხელშეკრულება გაფორმდა.

სამხედრო აღრიცხვა და გაწვევა

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად სხვადასხვა უწყების მიმართულებით 47 წვევამდელის ჩაირიცხა;
- დასრულდა 2005 წელს დაბადებული 142 ჭაბუკის პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა;
- რეზერვში ჩაირიცხა 51 რიგითი მოქალაქე;
- სამსახურის მიერ გაცემულია 127 წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა;
- ორგანიზებულია სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და გადავადების საკითხები კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, გეგმა შესრულებულია დადებითად.

www.keda.ge

გენდერული თანასწორობა

პროგრამები

- ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშწყობა
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა

ადგილობრივი თვიმმართვლობის ასოციაცია - ნალას მიერ გამოცხადებულ საუკეთესო
პრატიკის კონკურსში, ქედის მუნიციპალიტეტის მერია დაჯილდოვდა ნომინაციაში
,,გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერულად მგრძნობიარე მუნიციპალური სერვისების განვითარება".

www.keda.ge

ტურიზმი

ღვინის ფესტივალი და შემოდგომა ქედაში

გაიმართა სახალხო დღესასწაული შემოდგომა ქედაში და ღვინის ფესტივალი

ბიუჯეტი: 31 000 ლარი

www.keda.ge

მიღწევები

საქართველოს ჩემპიონი შოთა ფარტენაძე

შოთა ფარტენაძე თავისუფალ ჭიდაობაში 61კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ოქროს მედალოსანია.

მონაწილეობა მიიღო ხორვატიაში სარეიტინგო ტურნირში

საქართველოს ჩემპიონი შოთა ფარტენაძე მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატში

ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ ჩემპიონს პრემიის სახით ჯილდო გადასცა.

www.keda.ge

მიღწევები სპორტში

ქედის სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 10 სექცია და 16 ჯგუფი

- ქედის სასპორტო სკოლაში პირველად, ჯანსაღი ცხოვრების დანერგვის მიზნით ადმინისტრაციულ ერთეულებში შეიქმნა ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო ჯგუფები
- ქედის სასპორტო სკოლაში შეიქმნა გოგონათა საფეხბურთო გუნდი;
- გაიმართა შიდა პირველობა, სადაც ქედის სასპორტო სკოლის მოხალისეთა გუნდმა მოიპოვა I - ადგილი;
- აჭარის ა/რ ღია პირველობა მინი ფეხბურთში, ქედის სასპორტო სკოლის მოხალისეთა გუნდმა მოიპოვა I - ადგილი;
- აჭარის პირადი პირველობა ქართული ჭიდაობაში, ქედამ 4 პირველი ადგილი აიღო;
- ქ. ბათუმში გამართულ აჭარის ჩემპიონატში ქედის სასპორტო სკოლამ ორი I - ადგილი მოიპოვა;
- ქ. თბილისში გამართულ საქართველოს 29-ე ჩემპიონატში, კიკბოქსინგში ქედის სასპორტო სკოლამ სამი I - ადგილი მოიპოვა.

www.keda.ge

კულტურული და ახალგაზრდული პროგრამები

- განათლება, კულტურა და ტურიზმის განყოფილებამ **21** ღონისძიება განახორციელა;

ბიუჯეტი: 423 410 ლარი

- სპორტული ღონისძიებების მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში **36** ღონისძიება განხორციელდა;
- ახალგაზრდული ღონისძიებების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში **11** ღონისძიება განხორციელდა;

ბიუჯეტი: 35 000 ლარი

- 2022-2023 სასწავლო წლის საუკეთესო შეფასების მქონე 9 სტუდენტს გადაეცა ფულადი ჯილდო;
- ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებს 11 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალოსნებს გადაეცათ ფულადი ჯილდო.

მიღწევები კულტურის სფეროში

- ქედის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ბეთლემი“ მონაწილეობდა თურქეთის რესპუბლიკაში, კაპადოკია ,, ავანოსის მუნიციპალიტეტში გამართულ მსოფლიო სიმღერებისა და ცეკვების ფესტივალში.
- ქედის კულტურის ცენტრმა უმასპინძლა პოლონურ-ქართული კულტურის ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობდნენ: პოლონეთის ქვემო სილეზიის ვოკალური ანსამბლი ,,ჰეიშოვინა", აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი ,,ბათუმი", ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები: ,,ელესა", ,,იაგუნდი", ,,ბეთლემი", ფოლკ-ბენდი, ირინა დევაძე.
- ქალაქ თბილისში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი ,, არტ-გენი„ მონაწილეობდა გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი ,, იაგუნდი".
- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გაიმართა კულტურის სფეროს მთავარი ჯილდოს ,, წლის წარმატებული ხელოვანი" ნომინაციაში ,,წლის ფოლკლორის შემოქმედი“ დაჯილდოვდა ლოტბარი, ანსამბლ ,,ელესას“ ხელმძღვანელი ირაკლი სირაბიძე.
- საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადებიდან 90 და აღსაყდრებიდან 45 წლისთავს, ქედის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ, ვოკალურ და ინდივიდუალურ შემსრულებლებს გადაეცათ ჯილდო.

www.keda.ge

ტურიზმი

პროგრამები და ჯილდოები

- ღვინის ფესტივალი და შემოდგომა;
- მოლაშქრეთა კლუბი;
- ინფო და მედია ტურები.

ქედია მუნიციპალიტეტი ტურიზმის ,,მაგნოლია 2022“ -ის დაჯილდოების ცერემონიაზე ნომინაციაში: ,,ყველაზე ხშირად ვიზიტირებადი ტურისტული მარშრუტი - მახუნცეთის ტურისტული მარშრუტი“ დაჯილდოვდა.

www.keda.ge

ამოქმედდა სამი ახალი პროგრამა

- 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება
- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარება

www.keda.ge

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

2022 წელს სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა შეადგენდა 936 400 ლარს, რომლითაც განხორციელდა 14 პროგრამა

	2022 წლის ფაქტი
სოციალური უზრუნველყოფა	**604 107**
სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა	30 473
ვეტერანთა უკვდავყოფის სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	71 751
ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის	12 120
ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება	100 500
გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	49 400
ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	19 624
სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	39 284
საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა	99 395

www.keda.ge

სოციალური უზრუნველყოფა	2022 წლის ფაქტი
ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა	202 464
0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა	81 000
0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	3 000
საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	20 000
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	113 112
სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი)	379 200

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ბიუჯეტი 1 075 960 ლარს შეადგენდა, რომლითაც 6 პროგრამა განხორციელდა

	ჯანმრთელობის დაცვა	2022 წლის ფაქტი 840 042
	ამბულატორიული მომსახურების პროგრამა	191 260
	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა	153 411
	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	90 000
	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	60 006
	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფა	399 954
	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნვეყოფა	8 594
	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	88 980

ქედა
ქედის მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF KEDA MUNICIPALITY
გმადლობთ ყურადღებისათვის!
ქედის მუნიციპალიტეტის მერია
ტელ.: 0 425 25 00 01
ელ-ფოსტა: kedamunicipality@gmail.com
მის.: მ. კოსტავას ქ. 3, დაბა ქედა,
აჭარა, საქართველო
www.keda.ge

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2023 წლის -- მარტი
დაბა ქედა

,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე.
2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე).
3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის -- აპრილი.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის -- აპრილი.
5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.
6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).
7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2023 წლის -- აპრილის დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2023 წლის -- აპრილს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის -- აპრილი.

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №---

2023 წლის --- აპრილი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^{6} მუხლის, 77^{1} მუხლის, 77^{2} მუხლის, 82^{5} მუხლის, 135, 146^{1} მუხლის, 150 მუხლის, 150^{1} მუხლის, 151 მუხლის მე-3 ნაწილის, 152 მუხლის, 152^{5} - 152^{9} მუხლების, 153^{4} მუხლის, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 209^{3} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილების, 234^{1} მუხლის, 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის, 240-ე მუხლის, 242-ე მუხლის 3^{1} ნაწილის, 243-ე მუხლის 2^{1} ნაწილის, 268-ე მუხლის მე-7 ნაწილის, 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 272-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 273-ე მუხლის, ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი, მე-8, მე-12-მე-15 ნაწილების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^{6} მუხლით, 77^{1} მუხლით, 77^{2} მუხლით, 82^{5} მუხლით, 135, 146^{1} მუხლით, 150 მუხლით, 150^{1} მუხლით, 151 მუხლით, 152 მუხლით, 152^{5} - 152^{9} მუხლებით, 153^{4} მუხლით, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში – ზედამხედველობის სამსახური) საჯარო მოხელეები (შემდგომში – საჯარო მოხელე).

მუხლი 2

დამტკიცდეს:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^{6} მუხლით, 77^{1} მუხლით, 77^{2} მუხლით, 82^{5} მუხლით, 135, 146^{1} მუხლით, 150 მუხლით, 150^{1} მუხლით, 151 მუხლით, 152 მუხლით, 152^{5} - 152^{9} მუხლებით, 153^{4} მუხლით, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული

სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართის №1);

ბ) საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2);

გ) საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვის ჟურნალი (დანართი N3);

დ) გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა ოქმების ჩამოწერის ფორმა (დანართი №4);

ე) ახსნა-განმარტება და შენიშვნები საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის გამო (ფორმა) (დანართი №5);

ვ) სააღსრულებო ფურცლის ფორმა (დანართი №6).

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ივლისის №5 დადგენილება;

ბ) „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე – 35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით და 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ოქმის შედგენაზე უფლებამოსილების მინიჭებისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივლისის №10 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 აპრილიდან.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

დანართი №1.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^6 მუხლით, 77^1 მუხლით, 77^2 მუხლით, 82^5 მუხლით, 135, 146^1 მუხლით, 150 მუხლით, 150^1 მუხლით, 151 მუხლით, 152^4 მუხლით, 152^5 -152^9 მუხლებით, 153^4 მუხლით, 153^9 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი 1. წესის რეგულირების საგანი

წინამდებარე წესი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს N1-1/345 ბრძანების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს N1-1/344 ბრძანების და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების მიხედვით, განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შენახვის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ მიღებული დადგენილების გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმებს.

მუხლი 2. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი საჯარო მოხელეები

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში – ზედამხედველობის სამსახური) დებულებით განსაზღვრული სამსახურის საჯარო მოხელეები (შემდგომში – საჯარო მოხელე).

მუხლი 3. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება და მისი შინაარსი

1. საჯარო მოხელე, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^6 მუხლით, 77^1 მუხლით, 77^2 მუხლით, 82^5 მუხლით, 135, 146^1 მუხლით, 150 მუხლით, 150^1 მუხლით, 151 მუხლით, 152^4 მუხლით, 152^5 -152^9 მუხლებით, 153^4 მუხლით, 153^9 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

2. საჯარო მოხელე საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^6 მუხლით, 77^1 მუხლით, 77^2 მუხლით, 82^5 მუხლით, 135, 146^1 მუხლით, 150 მუხლით, 150^1 მუხლით, 151 მუხლით, 152^4 მუხლით, 152^5 -152^9 მუხლებით, 153^4 მუხლით, 153^9 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსებმა საჯარო მოხელემ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-

ე მუხლის 2[1] ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ საჯარო მოხელე ავსებს საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

3. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2) შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) ნაწილი I. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;

ბ) ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა.

4. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა შეიცავს ბეჭდის ადგილებს. იმ ადგილზე, რომელიც თანაბრად ფარავს საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ორივე ნაწილს, ბეჭედი დაისმება ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი საჯარო მოხელის ან მოხელეების მიერ, რომლებიც აწარმოებენ მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემას, ხოლო დანარჩენ ადგილებზე ბეჭედი დაისმება საბანკო დაწესებულების მიერ.

5. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ორ ეგზემპლარად. პირველი ეგზემპლარი (ორიგინალი) რჩება მის შემვსებ საჯარო მოხელესთან (რომელიც შევსებიდან პირველივე სამუშაო დღეს ბარდება ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი საჯარო მოხელეს ან მოხელეებს), ხოლო მეორე გადაეცემა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს.

6. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებისას დამრღვევს განემარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობანი, რაც აღინიშნება საჯარიმო ქვითარში – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში.

7. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის:

ა) I ნაწილს, გარდა მე-9 პუნქტისა, ავსებს საჯარო მოხელე;

ბ) I ნაწილის:

ბ.ა) პირველ პუნქტში შეიტანება: შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

ბ.ბ) მე-2 პუნქტში შეიტანება: შედგენის ადგილი;

ბ.გ) მე-3 პუნქტში შეიტანება: ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი;

ბ.დ) მე-4 პუნქტში შეიტანება: ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მონაცემები: ფიზიკური პირის შემთხვევაში: მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები (პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციის და სხვა); იურიდიული პირის შემთხვევაში: დასახელება, მისამართი და გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ.ე) მე-5 პუნქტში შეიტანება: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, არსი;

ბ.ვ) მე-6 პუნქტში შეიტანება:

ბ.ვ.ა) 6.1 პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ---------- და ჯარიმის ოდენობა ---- ლარი;

ბ.ვ.ბ) 6.2 პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია ნარჩენების მართვის კოდექსის ---------- და ჯარიმის ოდენობა ---- ლარი;

ბ.ზ) მე-7 პუნქტში შეიტანება: მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები (პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციის და სხვა);

ბ.თ) მე-8 პუნქტში შეიტანება: ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება: ახსნა-განმარტების არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება.

8. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. საჯარიმო ქვითარში – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები საჯარო მოხელე მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით, აბარებს საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცემაზე პასუხისმგებელ საჯარო მოხელეს ან მოხელეებს.

9. საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი საჯარო მოხელე და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი. თუ არის მოწმე ან სხვა მონაწილე, საჯარიმო ქვითარზე – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც.

10. თუ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი უარს ამბობს საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე, ამის შესახებ საჯარიმო ქვითარში – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი საჯარო მოხელის მიერ. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი უფლებამოსილია წარადგინოს საჯარიმო ქვითარზე – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე თანდასართავად ახსნა-განმარტებები და შენიშვნები საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, ასევე ახსნას საჯარიმო ქვითარში – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

11. ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს გადაეცემა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ასლი, ხოლო თუ დამრღვევი უარს აცხადებს ასლის მიღებაზე, საჯარო მოხელე ამას აღნიშნავს საჯარიმო ქვითარში – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში, რის შემდეგაც საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ასლი ითვლება ჩაბარებულად.

12. II ნაწილი – საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემტანის მიერ I ნაწილის საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შესაბამისად.

13. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მისი შევსებიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, რეგისტრირებული უნდა იქნეს წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ჟურნალში.

14. სამართალსუბიექტი, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებიდან 10 დღის ვადაში, ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

15. ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია მოსამსახურე აღჭურვოს შესაბამისი ელექტრონული (ვიდეო/აუდიო) მოწყობილობით, რომლის მეშვეობით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები დააფიქსირებს აღნიშნულ პროცესს, რის თაობაზეც წინასწარ აცნობებს სამართალდამრღვევს. ელექტრონული მოწყობილობით დაფიქსირებული ინფორმაცია (პერსონალური მონაცემები) დაცული უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების საფუძველი

ზედამხედველობის სამსახური საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 5. საჯარიმო ქვითრებით – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებით მომარაგება, საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გაცემა, წარმოება და დაბრუნება, მოთხოვნები აღრიცხვის ჟურნალების გაფორმების, წარმოებისა და შენახვისადმი

1. ზედამხედველობის სამსახურის საჯარიმო ქვითრებით – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებით მომარაგება ხორციელდება ზედამხედველობის სამსახურის

მოთხოვნის საფუძველზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ და ფორმდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტით.

2. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ საჯარო მოხელეზე, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გაცემა ხორციელდება ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი პასუხისმგებელი საჯარო მოხელის ან მოხელეების მიერ.

3. საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალში (შემდგომში – ჟურნალი).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჟურნალი იხსნება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში.

5. ჟურნალის ფურცლები ინომრება რიგითობის მიხედვით. ჟურნალის გარეკანი და ფურცლები უნდა იქნეს ზონარგაყრილი, ამასთან, ზონარის კვანძზე ეკვრება ეტიკეტი, რომელიც მოწმდება ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ხელმოწერით და სამსახურის ბეჭდით.

6. ჟურნალში ყველა ჩანაწერი კეთდება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით.

7. ჟურნალში არ დაიშვება ჩანაწერის გადაფხეკა, ჩასწორება ან ადრე გაკეთებული ჩანაწერების ჩასწორება და მოშორება კორექტორის დახმარებით. აუცილებლობის შემთხვევაში, უზუსტო ჩანაწერი გადაიხაზება ერთი ხაზით ისე, რომ ნათლად ჩანდეს ადრე დაწერილი ტექსტი, ახალი ჩანაწერი კეთდება აღრიცხვის ჟურნალის იმავე გრაფაში, ხოლო გრაფაში „შენიშვნა" აღრიცხვის ჟურნალის მწარმოებელი პასუხისმგებელი საჯარო მოხელე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს.

8. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში წარმოებული საქმეების რეგისტრაციისათვის ერთი ჟურნალი აღმოჩნდება არასაკმარისი, იხსნება ახალი ჟურნალი, რომელიც წარმოადგენს პირველის გაგრძელებას.

9. კალენდარული წლის ბოლოს, ჟურნალში საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების რეგისტრაციის შემდეგ, ზედამხედველობის სამსახურის პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი აკეთებს ჩანაწერს რეგისტრირებული საქმეების საერთო რაოდენობის შესახებ.

10. ჟურნალი ინახება მის წარმოებაზე პასუხისმგებელ ზედამხედველობის სამსახურში, რომელიც შემდგომში დადგენილი წესით გადაეცემა არქივს.

11. ჟურნალის შენახვის პირობებმა უნდა უზრუნველყოს მისი დაცულობა.

12. ჟურნალი წარმოადგენს შიდა გამოყენების დოკუმენტს და იგი (ან მასში არსებული მონაცემები) არ შეიძლება გაიცეს მესამე პირებზე, გარდა მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 6. საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შენახვა

საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 7. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერა

1. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფიზიკური დაზიანების გამო;

გ) მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერა უნდა მოხდეს ჩამოწერის აქტის (დანართი №4) მიხედვით. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილი უნდა იქნეს მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ჩამოწერის აქტში.

3. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 8. ჯარიმის გადახდა

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრება

1. პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი სამართალდარღვევის დადგენილება, მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში, შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) - ქედის მუნიციპალიტეტის მერთან, ხოლო ნარჩენების მართვის კოდექით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე – სასამართლოში.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ამ კოდექსის 234^1 მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

მუხლი 10. სააღსრულებო ფურცლის გამოწერა

ზედამხედველობის სამსახურის მიერ სააღსრულებო ფურცლის (დანართი №6) გამოწერა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

მუხლი 11. ვადების ათვლა

წინამდებარე წესით განსაზღვრული ვადების ათვლისას გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

დანართი №2.

საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური

ნაწილი I.

საჯარიმო ქვითარი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000000

ბ.ა.

1. შედგენის თარიღი: _____

(რიცხვი, თვე, წელი)

2. შედგენის ადგილი:_____

3. ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი:

_____

_____

4. დამრღვევის მონაცემები: _____

_____

ფიზიკური პირი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი)

_____

_____

იურიდიული პირი (დასახელება,მისამართი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი)

5. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, არსი: _____

_____

_____

_____

6.1. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____ მუხლის _____ ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას _____ ლარის ოდენობით.

6.2. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია ნარჩენების მართვის კოდექსის _____ მუხლის _____ ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას _____ ლარის ოდენობით.

7. _____

მოწმის (არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი

8. ოქმს ერთვის დამრღვევის ახსნა-განმარტება, კონფისკაციის აქტი და სხვა._____

_____

(ახსნა-განმარტების, კონფისკაციის აქტისა და სხვა დოკუმენტის არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა)

9. მიმღები მოლარე: _____ _____

(ხელმოწერა და თარიღი) (საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი)

მოწმის ხელმოწერა: _____

ოქმის შემდგენლის ხელმოწერა: _____

სამართალდამრღვევი:_____

(ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა, თარიღი)

ნაწილი II.

საჯარიმო ქვითრის ყუა

№000000

(ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში)

1._____

(გადამხდელის სახელი და გვარი)

2. _____

(გადამხდელის მისამართი)

3. _____

(ჯარიმის ოდენობა)

4.1._____

(საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსის მუხლი)

4.2._____

(ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი)

5._____

(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი)

6._____

(საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი)

7. მიმღები მოლარე: _____

(ხელმოწერა)

8. შემომტანი:_____

(ხელმოწერა)

ბ.ა.

თარიღი:_____

(რიცხვი, თვე და წელი)

საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე საქმისწარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მითითებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლითა და ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის მე-16 ნაწილით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ.

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამკვეთი:

მისამართი:

დამამზადებელი:

სემგს-ს რეგისტრაციის №

დანართი №3.

საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალი

№	გაცემის თარიღი	საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის №	საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი				საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი				საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შემდგენელი პირი				
			თანამდებობა	სახელი	გვარი	ხელმოწერა	თანამდებობა	სახელი	გვარი	ხელმოწერა	ოქმის №	თანამდებობა	სახელი	გვარი	ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16

დაბრუნებული (გაუქმებული ან უვარგისი) ოქმები						შენიშვნა
დაბრუნების თარიღი	ჩამოწერის აქტის №	ოქმის №	თანამდებობა	სახელი	გვარი	
17	18	19	20	21	22	23

დანართი №4.

გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა ოქმების ჩამოწერის ფორმა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური

აქტი № -----

------ ---------- 20___წელი

გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერის შესახებ

რიგითი N	**საჯარო ქვითრის რაოდენობა**	**საჯარო ქვითრის ექსკლუზიური ნომერი**	**ჩამოწერის საფუძველი (მიზეზი)**	**შენიშვნა**
1	2	3	4	5

ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერის სისწორეს.

სამსახურის უფროსი: ---------- /----------/

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა ოქმების
აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი: ---------- /----------/

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

დანართი №5.

ახსნა-განმარტება და შენიშვნები საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის გამო (ფორმა)

1. დამრღვევის:

ა) გვარი, სახელი, მამის სახელი:_____

ბ) პირადობის დამადასტ. დოკ. სერია, № ან პირადი №:_____

გ) მისამართი: _____

დ) დაბადების თარიღი:_____

(რიცხვი, თვე, წელი)

ე) სამუშაო ადგილი:_____

_____

ვ) ადმ. სამართალდარღვევათა ოქმის სერია და ნომერი: _____

_____

ზ) სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი: _____

თ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის: _____

_____

(მუხლი, ნაწილი, ქვეპუნქტი)

2.ახსნა-განმარტების ან/და შენიშვნის შინაარსი: _____

_____

_____

_____

_____

_____

ხელმოწერა _____ თარიღი: _____

(რიცხვი, თვე, წელი.)

დანართი №6.

სააღსრულებო ფურცლის ფორმა

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

საქმე № -----

ს ა ა ღ ს რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი

(სააღსრულებო ფურცლის გამცემი)

სააღსრულებო ფურცელი გაიცა: _____

_____

მიმართ;_____

_____

(მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ - სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის რეკვიზიტები, დაბადების ადგილი და თარიღი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი):

(ინფორმაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ (ადგილი, დრო და არსი)):

(აღსასრულებლად მიქცეული დადგენილების სრული დასახელება)

(დადგენილების გამოტანის თარიღი)

(დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი)

_____

_____

_____

_____

(დადგენილების სარეზულუციო ნაწილი)

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები:

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თრიღი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ----------

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„საქართველოს კანონში „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელდა ცვლილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 22.12.2022წ. სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.020770, №2483-Xრს-Xმპ) რომლის თანახმად, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენის და დამრღვევის მიმართ საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის ვალდებულება. ხოლო ამ მიზნით შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულისა და უფლებამოსილი პირების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. ამასთან, ამავე ცვლილებით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალათ 2023 წლის 1 აპრილამდე დაადგინონ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^6 მუხლით, 77^1 მუხლით, 77^2 მუხლით, 82^5 მუხლით, 135, 146^1 მუხლით, 150 მუხლით, 150^1 მუხლით, 151 მუხლით, 152 მუხლით, 152^5 - 152^9 მუხლებით, 153^4 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი პირები და ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმები.

ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შემუშავებული იქნა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შემდგომში - პროექტი).

პროექტის მიხედვით დადგენილია წესი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს N1-1/345 ბრძანების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს N1-1/344 ბრძანების და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შენახვის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ მიღებული დადგენილების გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმებს.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში – ზედამხედველობის სამსახური) დებულებით განსაზღვრული სამსახურის საჯარო მოხელეები (შემდგომში – საჯარო მოხელე).

საჯარო მოხელე, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^6 მუხლით, 77^1 მუხლით, 77^2 მუხლით, 82^5 მუხლით, 135, 146^1 მუხლით, 150 მუხლით, 150^1 მუხლით, 151 მუხლით, 152^4 მუხლით, 152^5 -152^9 მუხლებით, 153^4 მუხლით, 153^9 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება. ასევე საჯარო მოხელე საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^6 მუხლით, 77^1 მუხლით, 77^2 მუხლით, 82^5 მუხლით, 135, 146^1 მუხლით, 150 მუხლით, 150^1 მუხლით, 151 მუხლით, 152^4 მუხლით, 152^5 -152^9 მუხლებით, 153^4 მუხლით, 153^9 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსებმა საჯარო მოხელემ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ საჯარო მოხელე ავსებს საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2) შედგება ორი ნაწილისაგან: ნაწილი I. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა შეიცავს ბეჭდის ადგილებს. იმ ადგილზე, რომელიც თანაბრად ფარავს საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ორივე ნაწილს, ბეჭედი დაისმება ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი საჯარო მოხელის ან მოხელეების მიერ, რომლებიც აწარმოებენ მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემას, ხოლო დანარჩენ ადგილებზე ბეჭედი დაისმება საბანკო დაწესებულების მიერ. საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება ორ ეგზემპლარად. პირველი ეგზემპლარი (ორიგინალი) რჩება მის შემვსებ საჯარო მოხელესთან (რომელიც შევსებიდან პირველივე სამუშაო დღეს ბარდება ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი საჯარო მოხელეს ან მოხელეებს), ხოლო მეორე გადაეცემა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს. საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებისას დამრღვევს განემარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობანი, რაც აღინიშნება საჯარიმო ქვითარში – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მისი შევსებიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, რეგისტრირებული უნდა იქნეს შესაბამის ჟურნალში. სამართალსუბიექტი, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებიდან 10 დღის ვადაში, ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს. ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია მოსამსახურე აღჭურვოს შესაბამისი ელექტრონული (ვიდეო/აუდიო) მოწყობილობით, რომლის მეშვეობით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები დააფიქსირებს აღნიშნულ პროცესს, რის თაობაზეც წინასწარ აცნობებს სამართალდამრღვევს. ელექტრონული მოწყობილობით დაფიქსირებული ინფორმაცია (პერსონალური მონაცემები) დაცული უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზედამხედველობის სამსახური საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას შენახვას ახორციელებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვით. ზედამხედველობის სამსახურის საჯარიმო ქვითრებით – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებით მომარაგება ხორციელდება ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ და ფორმდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტით.

გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერა უნდა მოხდეს ჩამოწერის აქტის (დანართი №4) მიხედვით. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილი უნდა იქნეს მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ჩამოწერის აქტში. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი სამართალდარღვევის დადგენილება, მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში, შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) - ქედის მუნიციპალიტეტის მერთან, ხოლო ნარჩენების მართვის კოდექით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე – სასამართლოში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ამ კოდექსის 234[1] მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. ზედამხედველობის სამსახურის მიერ სააღსრულებო ფურცლის (დანართი №5) გამოწერა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ხოლო წესში განსაზღვრული ვადების ათვლისას გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

ბ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წინამდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შენახვის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ მიღებული დადგენილების გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმები.

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის შესაბამისად აგრეთვე ხდება სამართლებრივი საკითხების რეგულაცია და შესაბამისი ფორმების დადგენა კერძოდ:

1. სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესების;

2. საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის;

3. სააღსრულებო ფურცლის ფორმის;

4. ახსნა-განმარტება და შენიშვნები საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის გამო (ფორმა);

5. საჯარიმო ქვითრების-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის;

6. დაბრუნებული (გაფუჭებული, უვარგისი) საჯარიმო ქვითრების-ოქმების აღრიცხვის ჟურნალი ფორმის;

7. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა ოქმების ჩამოწერის ფორმის.

გ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

გ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას ოქმისა და საქმისწარმოების ფორმების დამზადების მიზნით.

გ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გაზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან სამართალდარღვევის ფაქტზე შედგენილი საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედეგად გამოიწვევს დამღვევის პასუხისმგებლობას - მას დაეკისრება საჯარიმო თანხები რომელიც ირიცხება მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში.

გ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ მკაცრი აღრიცხვის ფორმების (საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, ასევე საქმისწარმოების სხვა ფორმების დამზადების მიზნით) ლიცენზირებულ პოლიგრაფიულ საწარმოში დაბეჭვდის გამო;

გ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

დ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

დ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

ე) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ე.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე.გ) ნორმატიული აქტის ავტორი და წარმდგენი:

ნორმატიული აქტის ავტორი ქედის მუნიციპალიტეტის მერია და წარმდგენი ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

ე.დ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2023 წლის -- მარტი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე.
2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე).
3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის -- აპრილი.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის -- აპრილი.
5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.
6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).
7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2023 წლის -- აპრილის დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2023 წლის -- აპრილს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის -- აპრილი.

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N

2023 წლის --- აპრილი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ მე-2 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 აპრილიდან.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე

დანართი

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესი“ (შემდგომში – წესი) არეგულირებს, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ (შემდგომში – ზედამხედველობის სამსახური) 2023 წლის 1 აპრილიდან საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 127-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების (შემდგომში მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილება) შესრულების კონტროლის განხორციელების წესს.

2. მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და გაცნობა ხდება მოქმედი კანონმდებლობის და ამ წესის საფუძველზე.

მუხლი 2. მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შესრულების კონტროლის წესი

1. ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა.

2. ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია აწარმოოს შესაბამისი საინფორმაციო ბაზა/რეესტრი, რომელშიც ასახული იქნება ის ობიექტები, რომელთა მშენებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ზედამხედველობის სამსახურის მიერ შეჩერებულ იქნება 2023 წლის 1 აპრილიდან.

3. ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული საინფორმაციო ბაზის/რეესტრის წარმოების პროცესისათვის გამოჰყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მშენებლობის შემოწმება გულისხმობს ზედამხედველობის სამსახურში დასაქმებული პირების მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას.

5. ამ მუხლის მეოთხე პუნქტში მითითებულ შემოწმების პროცესში, აუცილებელია გადაღებულ იქნას ობიექტის ფოტოსურათები, რომლებზეც მითითებულ უნდა იქნას გადაღების თარიღი და შედგენილ იქნას დათვალიერების ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს შეჩერებული სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის გამოსწორება/აღმოფხვრის ფაქტი.

6. დათვალიერების ოქმი უნდა შედგეს სათანადო წესით და მოეწეროს ხელი ზედამხედველობის სამსახურში დასაქმებული შესაბამისი პირ(ებ)ის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დათვალიერების ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე. შესაძლებელია დათვალიერების ოქმზე, ასევე, დაფიქსირდეს სამართალდამრღვევი პირის

ხელმოწერაც, რომლის არარსებობამაც არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორე.

7. მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ზედამხედველობის სამსახური იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და იღებს დადგენილებას მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობის შესახებ, რომელიც აღსასრულებლად მიექცევა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ამ მუხლის მეშვიდე პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პერიოდულობით განახორციელოს ობიექტის შემოწმება.

9. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების საფუძველი, ზედამხედველობის სამსახური გამოსცემს დადგენილებას „მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ამ მუხლის მეცხრე პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ზედამხედველობის სამსახურის ვალდებულება არ ვრცელდება ამგვარი ობიექტების მიმართ.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„საქართველოს კანონში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ განხორციელდა ცვლილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 22.12.2022წ. სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020771) რომლის თანახმად, განისაზღვრა მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს ვალდებულება, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. ამასთან, ამავე ცვლილებით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალათ 2023 წლის 1 აპრილამდე დაადგინონ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესი.

ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შემუშავებული იქნა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შემდგომში - პროექტი).

პროექტის მიხედვით განისაზღვრება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ (შემდგომში – ზედამხედველობის სამსახური) 2023 წლის 1 აპრილიდან საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 127-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების (შემდგომში მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილება) შესრულების კონტროლის განხორციელების პროცედურული საკითხები, რომელთა მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეჩერებული მშენებლობების კონტროლის პროცესის გაუმჯობესება და კონტროლის მექანიზმების გამკაცრება, რათა სამომავლოდ თავიდან იქნას აცილებული შეჩერებული მშენებლობების გაგრძელების ფაქტები.

პროექტის მიხედვით ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია 2023 წლის 1 აპრილიდან მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. შემოწმება, თავის მხრივ გულისხმობს ზედამხედველობის სამსახურში დასაქმებული პირების მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას. შემოწმების პროცესში კი აუცილებელია გადაღებულ იქნას ობიექტის ფოტოსურათები, რომლებზეც მითითებულ უნდა იქნას გადაღების თარიღი და შედგენილ იქნას დათვალიერების ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს შეჩერებული სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის გამოსწორება/აღმოფხვრის ფაქტი.

ამასთან, პროექტის მიხედვით, თუ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობას აქვს ადგილი, ზედამხედველობის სამსახური იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ

სამართლებრივ აქტს (დადგენილებას) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც არ ათავისუფლებს სამსახურის ზედამხედველობის ვალდებულებისაგან თვეში არანაკლებ ერთხელ შეამოწმოს შეჩერების შესახებ დადგენილების შესრულება. აღნიშნული პერიოდული შემოწმება გრძელდება შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული სამართალდარღვევის აღმოფხვრამდე. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილებაში მითითებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების საფუძველი, ზედამხედველობის სამსახური გამოსცემს დადგენილებას „მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ზედამხედველობის სამსახურს აღარ აქვს ვალდებულება შეამოწმოს ხსენებული პერიოდულობით ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა თუ ობიექტზე კვლავ არ გაიცა სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ დადგენილება.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ნორმატიული აქტის ავტორი და წარმდგენი:

ნორმატიული აქტის ავტორი ქედის მუნიციპალიტეტის მერია და წარმდგენი ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

ე) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის -- მარტი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 24 თებერვლის №17 განკარგულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებები, თანახმად დანართი №1-სა.
2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე).
4. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

დანართი №1.

ქედის მუნიციპალიტეტი
2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

N	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	დანდალო	დანდალო	347	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
2		ბალაძეები	116	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
3		გოგიაშვილები	194	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
4		მოსიაშვილები	169	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
5		ტაკიძეები	186	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
6		ხარაულა	639	16000	გარე განათების მოწყობა	8000	
					მზა ბეტონის შეძენა	8000	
7		ჯალაბაშვილები	310	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
		ჯამი		**80000**		**80000**	
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
9		ახო	594	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
10		გეგელიძეები	428	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
11		გობრონეთი	251	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
12		კოკოტაური	545	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
13		ჩეტკიძეები	187	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
		ჯამი		**86000**		**86000**	
14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
15		აბუქეთა	279	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
16		ვარჯანისი	185	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
17		კანტაური	76	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
18		საბადური	57	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
19		ტიბეთა	154	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
20		სასადილოყელი	17	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
		ჯამი		**78000**		**78000**	
21	ზვარე	ზვარე	201	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
22		ვაიო	409	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
23		ზესოფელი	205	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
24		კვაშტა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
25		სირაბიძეები	252	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
		ჯამი		**64000**		**64000**	
26	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
27		აქუცა	262	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
28		გულები	235	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
29		ზენდიდი	297	12000	გარე განათების მოწყობა	10080	
					მზა ბეტონის შეძენა	1920	
30		კორომხეთი	160	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
31		ორცვა	232	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
32		ქედა	149	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	

33		შევაბური	89	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
34		ცხემნა	156	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
35		ძენწმანი	197	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
36		ხუნკუდა	122	10000	გარე განათების მოწყობა	3400	
					მზა ბეტონის შეძენა	6600	
ჯამი				**118000**		**118000**	
37	პ/მაისი	პ/მაისი	525	16000	მზა ბეტონის შეძენა	11750	
					გარე განათების მოწყობა	4250	
38		ზედა აგარა	106	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
39		კოლოტაური	473	16000	გარე განათების მოწყობა	11200	
					მზა ბეტონის შეძენა	4800	
40		ქვედა აგარა	109	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
ჯამი				**52000**		**52000**	
41	მახუნცეთი	ქვ/მახუნცეთი	439	16000	მზა ბეტონის შეძენა	5280	
					გარე განათების მოწყობა	10720	
42		ზედა ბზუბზუ	306	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
43		ზ/მახუნცეთი	203	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
44		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
45		ქვედა ბზუბზუ	261	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
46		ქოსოფელი	72	10000	მზა ბეტონის შეძენა	2880	
					გარე განათების მოწყობა	7120	
47		მილისი	123	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
48		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
49		უჩხითი	260	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
ჯამი				**106000**		**106000**	
50	დოლოგანი	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	8000	
					მზა ბეტონის შეძენა	8000	
51		ჭალახმელა	162	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
52		ჭინკაძეები	202	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
ჯამი				**38000**		**38000**	
53	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
54		აგოთა	122	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
55		გოგინიძეები	95	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
56		კუჭულა	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
57		მეძიბნა	188	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
ჯამი				**54000**		**54000**	
58	მერისი	მერისი	300	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
59		გარეტყე	89	10000	სოფლის სახლის კეთილმოწყობა	10000	
60		გუნდაური	218	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
61		ინაშარიძეები	200	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
62		ნამონასტრევი	60	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
63		სილიბაური	117	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
64		სიხალიძეები	148	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
ჯამი				**74000**		**74000**	
სულ ჯამი				**750000**		**750000**	

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილება და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 24 თებერვლის №17 განკარგულება. შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივ რეგულაცია.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 24 თებერვლის №17 განკარგულებით, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის გამოყოფილია 750 000 ლარი. მიმდინარე წლის მარტის თვეში, სოფლებში ჩატარებული მოსახლეობის კრებების მიერ განისაზღვრა აღნიშნული თანხებით განსახორციელებელი პროექტები ცალკეულ სოფლებში, რის მიხედვით შედგენილი იქნა შესაბამისი პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისათვის საჭირო პროგრამის დამტკიცება საკრებულოს მიერ.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩამონათვალი თუ რომელ სოფელში რა ღონისძიება უნდა განხორციელდეს განკარგულების პროექტს დანართის სახით თან ერთვის.

ასევე განმარტავთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა, რომ განხორციელდეს აუცილებელია მისი დამტკიცება საკრებულოს მიერ.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 750 000 ლარს

ოდენობით. რომლითაც განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია ან/და კეთილმოწყობა, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვა, ან/და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვა.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.